ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოგრეონ ავალიანი
ბარბანტი ბრანელი

1902
1427
1935

ანანეფსილი

ᲒᲝᲒᲠᲝᲜ ᲐᲒᲐᲠᲔᲚᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲠᲜ. 6864/3

ᲣᲮᲘᲚᲐᲕᲘ ᲖᲐᲠᲔᲑᲘ.

უხილავი ზარები დაგლოვილი ქნარებით,
განწირულის ქანებით დარეკავენ ღამეში.
პანაშვიდი მწარეა. საცოდავი ქარია.
მოკვდა ლურჯი არია სილამაზის დამლევში.

ფიქრიანი რვალია. ცახცახობენ ძალიან.
გოლგოთაზე ავლიან მეოცნებე ქალები.
სწნავენ ეკლის გვირგვინებს: ბედისწერა იგრგვინებს.
უაჯლდი გაგვიღიმებს სალომეას წვალებით.

უცნაური ხარჩება: დედოფალი ღამდება,
და ვარდების ანთებას შეხვდებიან წერილით.
ამ სევდიან რეკვაზე და ზარების ცეკვაში,
როგორც ტბასთან თეთრ ქვაზე, გაიცმება ტიროლი.

ტრფობის სურნელ ლიმონებს შავი გედი იმონებს.
ვილაც ჩუმათ იგონებს მივიწყებულ სახეებს.
მშვენიერთა სერია ისმის ყრუ მის ჭერიათ.
გაოცებით მღერიან. ზარი წითლად ახველებს..

უხილავი ზარები დაგლოვილი ქნარებით,
განწირულის ქანებით დარეკავენ ღამეში.
პანაშვიდი მწარეა. საცოდავი ქარია.
მოკვდა ლურჯი არია სილამაზის დამლევში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტირილი უცნობი.

შუალამე. მირაჟების რკალი.
გაფითრების ჩამოეშვა ფარდა.
დაიკარგა იისფერი ქალი.
მარმარილო კვდება მიმქრალ ვარდათ.

არ მასვენებს ქანდაკების ლანდი.
ეკლიანი სიმახინჯეც მოვა.
დავივიწყე სხივოსანი დანტე.
და ცრემლები დაიწყებენ თოვას.

მაგონდება: პანაშვიდი: მინა.
მკრთალი სახე. და მწუხარე რაში.
სადღაც კენტათ სილამაზეს ძინავს.
ავ ბოდვებში ჩამოდნება ვაჟი.

სისხლიანი ბარათების გროვა
დაიკივლებს უცნაური ბნედით.
ოცნებაში ვერ დაიმტვრა გლოვა.
ჩუმათ ტირის თოვლიანი გული.

შუალამე. შეკრთებიან მწარეთ.
შორეული იმედის ხმა გაქრა.
ჩამორეკენ. დახავსებულ ზარებს..
გამოჩნდება შავი გემის აფრა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲛᲔᲑᲐ.

მკრთალი სიცოცხლე დაიმსხვრევა წითელ ყინვაზე.
უსახო ტყეში ჩაიძინა ღრმა აპატიამ.
ნელა ჩაივლის ჭლექის ბალთან თეთრი სინაზე.
უქმი ოცნება ბედისწერამ არ მაპატია.

ღამის აჩრდილათ გამიელვებს უხმო გოდება.
გაოცებული ვხეტიალობ, როგორც ყარიბი.
უცებ გავქრები.. ალბათ, ვინმე მომაგონდება.
შეუბრალებლათ დამტანჯავენ ლურჯი ქარები.

ხმელი ვარდები იკივლებენ უცხო ღეროდან.
ატირდებიან გუმბათების მძიმე ფრენაზე:
სამრეკლოს ლანდი მწუხარებით მე მიმღეროდა,
რომ ეს სიცოცხლე—მირაჟია ჩამქრალ სცენაზე.

ჩუმი ვედრება ატორტმანდა გლოვის მარშებით.
წამების მთაზე ჩემი ფიქრი ადრე წავიდა.
დამაღონებენ მთვარეებით თეთრი რაშები.
არ შემიბრალა საოცრებამ ოქროს ნავიდან...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოდგომის ხაზები.

შემოდგომაზე ისევ ცვივიან
ფოთლები ხეებს ყვითელი მღერით.
ირგვლივ ბინდების ბრმა სიცივეა
და ეშმაკეთი—ქალების მტერი.

ძველი დღეების მკრთალი ამბორი
მოლლილ მინაზე სისხლით ანათებს.
მწუხარე დადის მთის ნიამორი
და შავ ყვავილთა ფურცლავს ბარათებს.

გამქრალ ფოთოლთან მეც მომწყინდება
ფანჯაზიების ყრუ ხეტიალი,
კოშმარიანი ლანდის დიდება
და ჩამონგრეულ ცხეთა ალი.

ჰო, შემოდგომით, დილის ძახილზე,
ჭლექიან ბაღში შევალ გოდებით.
თეთრი სამრეკლო ძილს არ მაღირსებს..
ტრიოლეტივით კენტათ მოვკვდები...

უვარდო ღამეში.

უვარდო ღამეში ტირიან ქუჩები.
შევკრთები ხანდახან, როგორც ელნათურა.
შეცდომით მეწვევა ზმანება უჩვევი.
არ ვიცი, ვის ვეტყვი დღევანდელ სამდურავს.

დავტოვე ოთახი. ვსაუბრობ ჩემ სულთან.
ქუჩაში მიცდიან სიკვდილის ტოტები.
არ მახსოვს,—მგონია, სიცოცხლე შემძულდა..
შევხვდები ვიღაც ქალს და შეეცოდები...

ბოგრან აბარელი.

ტერენტი გრანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკალიდან: კვირის წირვები.

თეთრი ხაზებით დავეწევი სასტიკ ზმანებას.
დაისვენებენ ქიმერებზე ჩემი ცოდვები.
შენს მიმქრალ სახეს შემოდგომა მე არ მანებებს.
და აქ თბილისში თვით მათხოვარს შევეცოდები.

მე ეს შუადღე გამოცებს თავის ლოცვებით.
მცხეთის ტაძარში გადავითვლი ფიქრებს გაძარცულს.
წვიმის ლანდებში ვიმალები ღამის ოცნებით.
ო, ეს წუთები მე მაგონებს ტირილს გარდასულს.

ანთებულ გრძნობით ავაკივლებ ცრემლებს თვალებში,
როცა საშინლად გამაშავებს მთვარის სინესტე.
მეტად მწვავეა ეს ქვეყანა ღამის რკალებში.
და ჩემი ლექსი-ყაჩაღების ცრუ მანიფესტი.

კვირის წირვებში ცოდვილ ტაძრებს ასწევენ მკვდრები.
თავის წამება სამრეკლოზე მარტო მე მინდა.
ო, ვიყო მუხლებს, სინანულით შენ გევედრები,
მე გაჭირვებულს და საცოდავს ღმერთო შემინდე!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფიროსმანიშვილს.

შენ დაგდევნა სამეკიტნო რკინის რაზებით.
ყალბი ბრილიანტებით გაწუხებდა ღამე წვიმაში.
არ კადრულობდი შებრალებას ბედის წინაშე.
დაგდევდა ლანდი მთვარისაგან განაბრაზები.

ჩუმათ გეწვია საოცრების რუხი ხაზები.
ფარულ კოშმარებს ატირებდი სევდის მინაში,
შენ არ იცოდი დამშვიდებით ყოფნა ბინაში,
და ღამის ლოთებს დაეძებდი ღვინის თასებით.

ლოცვით ამსხვრევდი ზიარებას სასაფლაოზე.
სისხლიან მკერდით აიტანე ბროლის არმაზი.
ანთებულ მხატვარს საიქიო ალბად გაოცებს.

შენი ოცნება ისვენებდა წითელ ნარმაზე.
ცოდვილ ქალაქში დადიოდი ჩოხის ამარა.
2 საშინელებამ უცნაურათ დაგასამარა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კვირის შუადღე.

თეთრი შუადღე ბრინჯაოს ჯვრებით:
ყრუ სასაფლაო, და მდუმარება:
უცნობი თვალი: ო, ჯავრით ვთვრები:
ირღვევა ფიქრი: სდუმს მწუხარება:

კვირის წირვები ქრებიან შხამით:
დღის ზიარება ხატებს დანებდა:
მამის საფლავი: ტირილი ღამით:
სისხლი აბელის: გლოვა დანებთან:

კვირის აისი ლანდებში ახვევს
დამსხვრეულ კუბოს ყვითელი ფერით:
ისევ წამება: და ავი სახე:
წამიღებს ზარით მე ნოემბერი:

სამრეკლო ანთებს ღრმა პანაშვიდებს:
კვირის ხმაურში კვდება ქუჩები:
ო, ეს საღამო თითქოს მამშვიდებს:
მაგრამ ხვალ გლოვას ვერ გადურჩები:

ოეთრი შუადოე ბრინჯაოს ჯვრებით:
ყრუ სასაფლაო, და მდუმარება:
უცნობი თვალი: ო, ჯავრით ვთვრები:
ირღვევა ფიქრი: სდუმს მწუხარება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I 88.880

სონეტი დედინაცვალს

მამის საფლავთან აგატირებს ტკბილი წარსული.
სპეტაკ ცრემლებში დაეხვევი როგორც ბაწარი.
გიკვარს ლოცვებში წალენჯიხის ძველი ტაძარი.
წვიმიან დღეში სასაფლაოს წყრომით გარს უვლი.

კეთროვანებას რელიგია შენში ასრულებს.
მარად საყდარში იარები გრძელი მაზარით.
ცივ სახარებას წაგიკითხავს მღვდელი ლაზარე,
და ისევ ნდობით უერთდები ცოდვილ ავსულებს.

მწუხრის წირვებში აინთები როგორც კანდელი.
გტანჯავს სიავე, ფერწასული მთვარის ანთება.
და შენს კალთებში ჩუმათ იწვის კორიანტელი.

გარს გახვევია მწუხარება გლოვის ბანტებად.
ოქროს ხატებში მონაზონი ძველ მონებს სტირი.
და კვლავ გელათის გესიზმოება შენ მონასტირი...

ლოცვა მთვარესთან

გლოვის ზარებით გამაქანებს თეთრი კარეტა.
და ჩემი სული სამოთხეში მივა გოდებით.
ზამთრის ვარდები დაიმსხვრევა ბალის კარებთან.
გლოვის ზარებით გამაქანებს თეთრი კარეტა.
უშენო წარსულის სიმახინჯე მივლის გარედან.
საშინელებას მირაჟებით მე ველოდები.
გლოვის ზარებით გამაქანებს თეთრი კარეტა.
[illegible] სამოთხეში მივა გოდებით.

ტერენტი გრანელი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა